

2011 წლის 17 ნოემბერს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ თანამშრომლებმა – ნინო დარბაისელმა, ლევან ბრეგაძემ, ნათია სიხარულიძემ, მამუკა შელევამ და ნანა კობალაძემ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის #51 საჯარო სკოლაში ჩაატარეს პოეტის 120 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება – „საუბრები გალაკტიონზე.“

„გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ თანამშრომლებმა ისაუბრეს შემდეგ საკითხებზე:

1. ნინო დარბაისელი – გალაკტიონი და გალაკტიონოლოგია - გაცნობითი ხასიათის სიტყვა
2. ლევან ბრეგაძე – „გალაკტიონის ხიბლი“
3. ნათია სიხარულიძე – „გალაკტიონის ნეოლოგიზმები“  
„გალაკტიონის სახლ-მუზეუმი სოფელ ჭყვიშში“.
4. მამუკა შელევია – „გალაკტიონი და „დემონი“ (ქუჩუ ქავთარაძე)“
5. ნანა კობალაძე – „გალაკტიონის არქივის ისტორიიდან“
6. ნინო დარბაისელი – „გალაკტიონის თავისუფალი ლექსი“

ღონისძიებას ესწრებოდნენ 51-ე საჯარო სკოლის მასწავლებლები და მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეები. „საუბრების“ ბოლოს მოსწავლეებმა გალაკტიონის ბიოგრაფიისა და მისი შემოქმედების შესახებ არაერთი შეკითხვა დაუსვეს ცენტრის თანამშრომლებს. ღონისძიების ბოლოს სკოლის დირექციის წარმომადგენელთა მიერ გამოითქვა „გალაკტიონის კვლევის ცენტრთან“ ამგვარი თანამშრომლობის ტრადიციად ქცევის სურვილი.